თხრობითი ტექსტის გაგება-გააზრება

დაკვირვებით წაიკითხე ტექსტი და უპასუხე შეკითხვებს.

ნასოფლარი

მაღალი მთის ფერდობზე ერთი სოფელი იყო. სოფელში იდგა კრამიტგადახურული ლამაზი სახლები. ხეებსა და ვაზებს პატრონის ხელი ეტყობოდა. ეზოებში დარბოდნენ ბავშვები, ბღაოდნენ ძროხები, ყიოდნენ მამლები. იქაური ხალხი დაადგებოდა საურმე გზას ან ვიწრო ბილიკს, ჩავიდოდა ვაკეში და დიდი შარით ან რკინიგზით საითაც უნდოდათ, იქით მიდიოდა.

ასე ცხოვრობდა ხალხი დიდხანს. მაგრამ ერთხელ, ერთ იქაურ კაცს თავში ეშმაკი შეუჯდა, აღარ იკადრა მიხვეულ-მოხვეულ ბილიკზე სიარული, ძროხების მოვლა, ვაზების სხვლა, აიკრა გუდა-ნაბადი და ქალაქში დასახლდა. „თხა თხაზე ნაკლები მგელმა შეჭამოსო“, - იფიქრა მეორემ და ისიც წავიდა. მალე იმას მესამე მიჰყვა, მესამეს - მეოთხე... ბოლოს მთელი სოფელი აიყარა.

მოიწყინა ფერდობმა, მიჩუმდა იქაურობა, ნასახლარებს მაყვალმა და ღიჭმა გადაუარა.

ნასოფლარზე მხოლოდ ერთი პატარა ქვითკირის სახლი მოჩანდა. ამ პატარა სახლში ერთი ბერიკაცი ცხოვრობდა. ცივი წყალი არ აკლდა და სუფთა, კამკამა ჰაერი. მოხუცი ხელს არ აჩერებდა: პური მოჰყავდა, ღვინოს აყენებდა, ბოსტნეული ხომ ჰქონდა და ჰქონდა თავზე საყრელი. თუმცა ბერიკაცს არც დარდი აკლდა, ხანდახან ხმის გამცემი მოენატრებოდა ხოლმე და დაღონდებოდა, იფიქრებდა: „მოდი წავალ, სადაც ჩემი შვილები და შვილიშვილები არიან, მეც იქ ვიქნებიო, მაგრამ ნასოფლარი არ ეთმობოდა. წარმოიდგენდა იქ გასათოხნი, დასაბარი და მოსახნავი რომ არ ექნებოდა, შეეშინდებოდა უსაქმოდ ყოფნისა და მოხუცი ისევ გადაიფიქრებდა ქალაქში წასვლას.

იმუშავებდა ბერიკაცი, დაიღლებოდა, მერე სახლის დირეზე ჩამოჯდებოდა, იდაყვებს მუხლებზე დაიყრდნობდა, დაკოჟრილ ხელებს ლოყებზე მიიდებდა და ბილიკს გაჰყურებდა, იქნებ ქალაქიდან ვინმემ ამომხედოსო, მაგრამ არავინ არ გამოჩენილა. მხოლოდ ჩიტი მოფრინდა ერთხელ.

- რა იყო, პაპავ, ეგრე რამ დაგაფიქრა.

LIVEWORKSHEETS

- რაღა რა იყო, სოფელი ნასოფლარად იქცა, ხმის გამცემი არა მყავს, - შესჩივლა ბერიკაცმა.

- მერე რა გადარდებს, მე მოვალ შენთან და დაგელაპარაკები. ჩემი ბარტყებიც მოვლენ. განა სიკეთე დაგვიწყებია? შენ არ იყავი ზამთარში დირეზე კერძის ნარჩენს რომ გვიყრიდი ხოლმე?!

ამის მერე ხშირად მოფრინდებოდნენ ხოლმე ჩიტები, ჭიკჭიკს გააბამდნენ, თავიანთ ენაზე ესაუბრებოდნენ ბერიკაცს.

ერთხელ კურდღელი მიადგა და ჰკითხა:

- რაღაც მოწყენილი ჩანხარ, რამე ხომ არ გიჭირს?

- აბა, რა მიჭირს, ნაცარავ, ყველაფერი მაქვს. მხოლოდ ხანდახან ხმის გამცემი მომენატრება ხოლმე.

- ნუ გეშინია, მე მოვალ შენთან, სხვებსაც მოვიყვან. თურმე შენი შიშით მონადირე ვერ გაიჭაჭანებდა ამ არემარეზე: იცოცხლონ, ესენიც ხომ ღვთის გაჩენილები არიანო.

- გაიხარე, რომ სიკეთის დამახსოვრება გცოდნია.

- სიკეთე არ იკარგება, პაპავ, ნუ გეშინია, - დააიმედა ნაცარამ მოხუცი და გაიქცა.

მეორე დღეს მთელი ეზო კურდღლებით აივსო.

- გამრავლდით, - ეფერებოდა კურდღლებს ბერიკაცი, თან თავის მოყვანილ კომბოსტოს ფოთლებს უყრიდა.

ერთ დღესაც შორეული ტყიდან წამოსული ქორბუდა ირემი მოადგა ჭიშკარს.

- გამარჯობა, ბერიკაცო, - მიესალმა მოხუცს ირემი, - ჩიტებისაგან გავიგე, რომ მარტო დარჩენილხარ ამ უდაბურ ნასოფლარში, შემეცოდე და წამოვედი.

- მადლობელი ვარ, ჩემო ქორბუდავ, როგორ გაწვალდებოდი, საიდან სად წამოსულხარ, იმ უსიერი ტყიდან რამ მოგიყვანა?!

- სიკეთე მახსოვს და იმან მომიყვანა. შენ არ იყავი, მონადირეს რომ აუკარი ხელი და ჩემი მოსახვედრი ტყვია სადღაც გაცივდა?!

მოხუცმა და ირემმა კარგა ხანს იმასლაათეს. მერე ბერიკაცმა ქორბუდა ტყის პირამდე მიაცილა.

LIVEWORKSHEETS

გავიდა რამდენიმე ხანი და მოხუცის ეზოში ახლა პაწაწინა დათუნია შემობაჯბაჯდა.

ბერიკაცმა ბაჯბაჯა ხელში აიყვანა, გულზე მიიხუტა: გეტყობა შორიდან მოხვედი, დაღლილხარ, როგორ გიცემს გულიო.

- ტყიდან მოვედი, პაპილო. ერთი კვირის წინ დედაჩემი საძოვარზე წავიდა და ჯერაც არ დაბრუნებულა. რომ მიდიოდა, მითხრა - „ნასოფლარში ერთი კეთილი მოხუცი ცხოვრობს და თუ ძალიან დამაგვიანდა, იმასთან წადიო“.

- კარგი გიქნია, დათუნი, იყავი ჩემთან.

დათუნიაც დარჩა.

ნასოფლარი ყოველი მხრიდან კარგად მოჩანდა, როცა რკინიგზაზე მატარებელი გაივლიდა, მგზავრები ფერდობს გახედავდნენ და სიბრალულით იტყოდნენ ხოლმე: აფსუს, რა სოფელი იყო! ახლა კი მხოლოდ ერთი მოხუციღა ცხოვრობს მარტოდმარტო, ნეტავ როგორა ძლებსო!

ავტობუსი რომ ჩაივლიდა შარაგზაზე, იქიდანაც დაინახავდნენ ნასოფლარს და ამბობდნენ: ნეტავ, იმ უკაცრიელ ადგილას მარტოს რა ასულდგმულებს იმ ბერიკაცსო.

ზოგი რას ამბობს, ზოგი რას, ბერიკაცი კი ცხოვრობს ნასოფლარში, ხან დირეზე დაჯდება, დათუნიას გვერდით მოისვამს და გზისკენ აწყდება თვალები, იქნებ ქალაქიდან ვინმე გამოჩნდესო.

წაიკითხე შეკითხვები. შეარჩიე სწორი პასუხი და შემოხაზე შესაბამისი ასო (ა, ბ ან გ).

1. **რა არის პირველი აბზაცის დანიშნულება?**

   ა) გაგვაცნოს ავტორის დამოკიდებულება სოფლელების მიმართ.
   ბ) გაგვაცნოს ის სოფელი, სადაც მოთხრობილი ამბავი ხდება.
   გ) გაგვაცნოს, როგორი ბუნება იყო სოფელში.

2. რატომ გადასახლდა ერთი სოფლელი კაცი ქალაქში?

   ა) ვეღარ შეძლო ფრინველისა და საქონლის მოვლა.
   ბ) მობერზდა სოფლის პირობებში ცხოვრება.
   გ) უჭირდა ვენახისა და ყანის მოვლა.

LIVEWORKSHEETS

3. რომელ წინადადებაშია ფრაზეოლოგიური გამოთქმა?

ა) „აიკრა გუდა-ნაბადი და ქალაქში გადასახლდა“.
ბ) „ცივი წყალი არ აკლდა და სუფთა, კამკამა ჰაერი“.
გ) „ხანდახან ხმის გამცემი მოენატრებოდა ხოლმე“.

4. „აღარ იკადრა მიხვეულ-მოხვეულ ბილიკზე სიარული“. მწერლის როგორი დამოკიდებულება ჩანს გლეხის გადაწყვეტილების მიმართ ამ წინადადებიდან?

ა) გაკვირვებას გამოხატავს.
ბ) თანაუგრძნობს მათ.
გ) უარყოფითად აფასებს.

5. რა გახდა სოფლის აყრის მიზეზი?

ა) სიხარბე. ბ) შური. გ) წამბაძველობა.

6. „თხა თხაზე ნაკლები მგელმა შეჭამოსო“ არის:

ა) ანდაზა. ბ) ფრაზეოლოგიური გამოთქმა. გ) შედარება.

7. რატომ ვერ მოაცვლევინეს ფეხი ბერიკაცს სოფლიდან?

ა) არ ეთმობოდა მშობლიური სოფელი.
ბ) უნდოდა სხვებისთვის მაგალითი მიეცა.
გ) ქალაქი არ უყვარდა ბერიკაცს.

8. ბერიკაცს ქალაქში წასვლა არ უნდოდა, რადგან ეშინოდა:

ა) დაბინძურებული ჰაერისა.
ბ) იქ უსაქმოდ ყოფნისა.
გ) ქალაქის ხმაურისა.

9. „სახლის დირეზე ჩამოჯდებოდა, იდაყვებს მუხლებზე დაიყრდნობდა, დაკოჟრილ ხელებს ლოყებზე მიიდებდა და ბილიკს გაჰყურებდა, იქნებ ქალაქიდან ვინმემ ამომხედოსო“. რაზე მეტყველებს ეს ეპიზოდი?

ა) მარტოობა უჭირდა ბერიკაცს.
ბ) ფიზიკურად მუშაობა უჭირდა.
გ) ჯანმრთელობა შერყეული ჰქონდა.

LIVEWORKSHEETS

10. რა იყო ბერიკაცის მოწყენის, დარდის მთავარი მიზეზი?

ა) თვითონ რომ ვერ მიდიოდა ქალაქში.

ბ) სოფელი ნასოფლარად რომ იქცა.

გ) შვილიშვილები რომ აღარ მიდიოდნენ სანახავად.

11. რა მიზნით მიაკითხეს ფრინველებმა და ცხოველებმა ბერიკაცს?

ა) რათა ბერიკაცს გულუხვად დაეპურებინა ისინი.

ბ) რათა ბერიკაცს მონადირეებისაგან დაეცვა ისინი.

გ) რათა მარტოობა შეემსუბუქებინათ ბერიკაცისთვის.

12. ფრინველებმა და ცხოველებმა ბერიკაცს დაუფასეს ის, რომ:

ა) განსაკუთრებულ სიკეთეს იჩენდა მათ მიმართ.

ბ) თავისი გაუკაცურებული სოფლის ერთგული იყო.

გ) ხელს არ აჩერებდა, თავაუღებლად შრომობდა.

13. „იმ უსიერი ტყიდან რამ მოგიყვანა?“ რას ნიშნავს აქ სიტყვა <u>უსიერი</u>?

ა) დაბურულს. ბ) მეჩხერს. გ) შორეულს.

14. რა აოცებდათ ავტობუსის მგზავრებს?

ა) ბერიკაცის სიმტკიცე და გამძლეობა.

ბ) ბერიკაცის ცხოველებთან მეგობრობა.

გ) მიტოვებული სახლების დანახვა.

15. რა არის მოთხრობის მთავარი სათქმელი?

ა) ადამიანმა მშობლიური ადგილები ნასახლარად არ უნდა აქციოს.

ბ) სოფლად ცხოვრება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ქალაქად.

გ) ყველამ ისე უნდა იცხოვროს, როგორც სწორად მიაჩნია.

LIVEWORKSHEETS